

ხბოს პრესტარტერი



ხბოს საკვები სიცოცხლის 4-5-ე დღიდან 3 თვის განმავლობაში

რა არის ხბოს პრესტარტერი?

ხბოს პრესტარტერი წარმოადგენს გრანულირებულ მზა საკვებს, რომელიც გამოიყენება ხბოების გამოსაზრდელად სიცოცხლის მე-4-5 დღის ასაკიდან სამი თვის განმავლობაში.

რატომ ხბოს პრესტარტერი?

- **ხბოს პრესტარტერი** გამოიყენება, როგორც მერძეული, ისე მეხორცეული ხბოების გამოსაზრდელად;
- **ხბოს პრესტარტერი** აადვილებს ხბოს ძუძუთი კვებიდან ასხლეტას და უხეშ საკვებზე გადასვლას;
- **ხბოს პრესტარტერი** ხელს უწყობს ფაშვის ჩამოყალიბებას, ხოლო პროტეინებით, ვიტამინებით და მინერალებით მდიდარი საკვები უზურუნველყოფს ძლიერი ხბოს გამოზრდას.

მოხმარების წესები

პრესტარტერის გამოყენება სასურველია დაიწყოს ხბოს სიცოცხლის მე-4-5 დღიდან (თანდათანობით მიჩვევის შემდეგ პრესტარტერი ხბოს უნდა მიეწოდოს ნებაზე, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე).

კვების რეკომენდაციები

ხბოს პრესტარტერის არ ანაცვლებს რძეს/რძის შემცველს, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხბოს გამომზრდისას სიცოცხლის 60 დღის განმავლობაში;

უხეში საკვები - თივა ან ნამჭა გამოიყენება ხბოს სიცოცხლის მე-3 კვირიდან და პრესტარტერის მსგავსად ხბოს მიეწოდება ნებაზე, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე (უხეში საკვები მნიშვნელოვანია ფაშვის მოცულობის უზურუნველსაყოფად);

წყალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჯანმრთელი ხბოს გამოსაზრდელად, რომელიც ხბოს მიეწოდება სიცოცხლის მე-5 დღიდან ნებაზე, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.

გამოყენებული ინგრედიენტები

ვიტამინები, მინერალები, სოიოს შროტი, მზესუმზირის შროტი, ამინომჟავები, მარცვლეული და სხვა მცენარეული წარმოშობის ნედლეული, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს და ევროკავშირის კანონმდებლობით.

შენახვის ვადა: დამზადებიდან 6 თვე (შენახვის წესების დაცვის შემთხვევაში).

შენახვის წესი: მშრალი, გრილი და მზისგან დაცული ადგილი.